სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

08 სექტემბერი, 2025 წ.

ბრძანება N01-02/169

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის 2025-2026 სასწავლო წლიდან ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-სთან **აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრის განაცხადების ფორმების** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 აგვისტოს N01-02/147 ბრძანების, ,,ბსუ-ს 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №06-01/70 დადგენილების**,,**2025 წლის სექტემბერში ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 08 სექტემბრის N06-01/77 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის" (შემდეგში - ბსუ-ს **აფილირების წესის), 2025-2026 სასწავლო წლიდან** ბსუ-ს აკადემიური პერსონალის ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრისათვის **გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:**

1.1. ბსუ-ს აკადემიურ პერსონალს დაეგზავნოს **შეტყობინება (შეხსენება)** წინამდებარე **ბრძანების N1 დანართის შესაბამისად,** მათი შრომითი ურთიერთობის (ბსუ-ში **ან/და სხვა** დაწესებულებაში) და სამუშაო დატვირთვის ბსუ-ს აფილირების წესთან შესაბამისობაში მოყვანისათვის და 2025-2026 სასწავლო წლის დაწყების (2025 წლის 22 სექტემბრიდან) ორგანიზების მიზნით;

1.2. **აფილირების წესის ამოქმედებისათვის** (08.09.2023წ.) **მოქმედი შრომითი კონტრაქტის** მქონე, ასევე 2023 და 2024 და 2025 წლებში ჩატარებული კონკურსის შედეგად (2025 წლის სექტემბრამდე პერიოდში) არჩეულმა აკადემიურმა პერსონალმა ბსუ-სთან აფილირებისა ან/და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის 2025-2026 სასწავლო წლიდან ცვლილების მიზნით შესაბამისი განაცხადები (საჭიროების შემთხვევაში ცნობები/სამართლებრივი აქტები სხვა დაწესებულებაში დასაქმების ადგილიდან), ასევე **სხვა დაწესებულებაში** 2025-26 სასწავლო წლის აკადემიური დატვირთვის/საათობრივი დატვირთვის არსებობის შემთხვევაში ბსუ-ში დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრის ახალი განაცხადი და დამატებითი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში) **წარმოადგინონ არაუგვიანეს 2025 წლის 16 სექტემბრისა** (თუკი ასეთი

დატვირთვა განესაზღვრება 2025 წლის 30 სექტემბრის შემდეგ პერიოდში - დამატებითი ინფორმაცია ბსუ-ში უნდა წარმოადგინონ დატვირთვის განსაზღვრიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში);

1.3. **2025 წლის სექტემბერში** ჩატარებული აკადემიური პერსონალის შესარჩევ ღია კონკურსში **გამარჯვებულმა კონკურსანტებმა** (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად) ხელმოწერილ შრომით ხელშეკრულებასთან ერთად **ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია) მატერიალური სახით წარმოადგინონ** რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული შესაბამისი აფილირების და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრის განაცხადის ფორმა - **არაუგვიანეს 2025 წლის 16 სექტემბრისა;**

1.4. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ წინამდებარე ბრძანების მოთხოვნათა შესრულების **მონიტორინგი განახორციელონ შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებმა** (დეკანის მოადგილეებმა, დეკანის დავალებით);

1.5. **ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია) უზრუნველყოს:**

ა) დასაქმებულის მიერ შევსებული **აფილირებისა და დატვირთვის განაცხადის რეგისტრაცია-აღრიცხვა;**

ბ) ფაკულტეტიდან/პერსონალიდან წარმოდგენილი განაცხადის/ინფორმაციის ხარისხის მართვის სისტემაში **(QMS ბაზაში) ასახულ ინფორმაციასთან შედარება** (სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან ერთად) და დასაქმებულის სხვა დაწესებულებაში შრომითი საქმიანობის ან/და დატვირთვის შესახებ ინფორმაციის დაზუსტება ბსუ-ს დასაქმებულთან, დამატებითი კონსულტაციების გაწევა (საჭიროების შემთხვევაში);

გ) დასაქმებულთა განაცხადების რექტორისათვის წარდგენა (თანხმობა/უარყოფის მიღებისათვის);

დ) ბსუ-ს რექტორის მიერ ხელმოწერილი აფილირების განაცხადების (შეთანხმებების), ასევე დამატებითი დოკუმენტაციის (სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შრომითი დატვირთვის თაობაზე - ასეთის არსებობის შემთხვევაში), დასაქმებულთა პირად საქმეებში განთავსება;

ე) „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის მომზადება.

1.6. **ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა,** ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) კოორდინირებით, უზრუნველყოს:

ა) შესაბამისი სასწავლო წლისათვის/სემესტრისათვის ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის (საჭიროებისას ასევე ცვლილებების) მომზადება;

ბ) ფაკულტეტიდან/პერსონალიდან წარმოდგენილ ინფორმაციასა და ხარისხის მართვის სისტემაში (QMS ბაზაში) ასახულ ინფორმაციას/დასაქმებულის სხვა დაწესებულებაში შრომითი დატვირთვის შესახებ უნივერსიტეტის მიერ გამოთხოვილ ინფორმაციას შორის სხვაობის შემთხვევაში, დასაქმებულის შრომითი დატვირთვის მოცულობის ბსუ-ს აფილირების წესთან შესაბამისობაში მოყვანა (ფაკულტეტთან და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) კოორდინირებული მუშაობით/შეთანხმებით).

2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს აკადემიურ პერსონალს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს,

საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის 2025-2026 სასწავლო წლიდან ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 08 სექტემბერის N01-02/169 ბრძანების N1 დანართი

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის 2025-2026 სასწავლო წლიდან ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრისათვის ბსუ-ს აკადემიური პერსონალისათვის საყურადღებო ინფორმაცია!

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების,** აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესით" (შემდეგში - **აფილირების წესის) დადგენილი აფილირების პირობებისა და** მხოლოდ 2023-24 სასწავლო წლისათვის განსაზღვრული **გარდამავალი დებულებების თანახმად 2025-2026 სასწავლო წლისათვის** ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისათვის **აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი მოთხოვნები და ფაქტობრივი გარემოებები:**

- **ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირი** (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) **ბსუ-სთან აფილირებული შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში,** თუ **არ უკავია** სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **აკადემიური** ან/და **სამეცნიერო** თანამდებობა და გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება ბსუ-სთან.
- **ბსუ-ს პროფესორებისათვის სავალდებულოა ბსუ-სთან აფილირება.** ბსუ-ს პროფესორის მიერ აფილირების პირობების დარღვევა მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია.
- **ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი შეიძლება იყოს დასაქმებული სხვა უსდ-ს** აკადემიურ/სამეცნიერო თანამდებობაზე და შესაბამისად, **ბსუ-ში იქნება არააფილირებული** (ასეთ შემთხვევაში <u>სემესტრის დაწყებამდე 10 კალენდარული დღით ადრე</u> უნდა შეავსოს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი არაფილირებული აკადემიური თანამდებობის პირის მიერ შესავსები ფორმა და განესაზღვრება **„გ" კატეგორიის** აკადემიური სამუშაო დატვირთვა.

გთხოვთ იხილოთ ბსუ-ს ვებგვერდზე იურიდიულ ცნობარში (ველში - საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები) **განთავსებული ბსუ-ს აფილირების წესი და აფილირების განაცხადის ფორმები:**

1. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **<u>„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების,</u>** <u>აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესი".</u>

2. ,,ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრის **განაცხადების ფორმების** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 აგვისტოს N01-02/147 ბრძანება.
3. ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის 2025-26 სასწავლო წლიდან ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 08 სექტემბრის N01-02/** 169 ბრძანება.

შენიშვნა: აფილირების განაცხადის წარმოდგენისათვის ან/და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) - ბათუმი, **ბსუ-ს N1 კორპუსი,** პირველი სართული, **ოთახები N2 და N16**